2012

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დავების განხილვის საბჭო

[სტატისტიკური ანგარიში]

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ 2012 წელს გაწეული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების ამსახველ დოკუმენტს.

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის მიერ.

საერთო მაჩვენებლები

2012 წლის განმავლობაში დავების განხილვის საბჭოში რეგისტრირებულია 1360 მომართვა. ამავე პერიოდში საბჭომ წარმოება დაასრულა 755 საჩივარზე.

2012 წელს საბჭოს წინაშე სადავო თანხამ შეადგინა 293,186,806 ლარი.

საჩივრების დინამიკა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს სანდოობა იზრდება, რასაც მოწმობს რეგისტრირებული საჩივრების რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ დავების საბჭოში გასაჩივრება სავალდებულო არ არის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის ნებისმიერ ეტაპზე მომჩივანი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს, სულ უფრო მეტი მომჩივანი არჩევს გაიაროს დავების განხილვის საბჭოს ეტაპი.



სადავო თანხის დინამიკა 2012 წლის მონაცემებით შემდეგნაირია:



გადაწყვეტილებები

2012 წელს მიღებული გადაწყვეტილებებით მომჩივანთა მოთხოვნა 355 შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 218 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 182 შემთხვევაში საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო.





მომჩივნები

2012 წელს მომჩივანთა უმეტესი ნაწილი ინდივიდუალურმა მეწარმეებმა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებმა შეადგინეს:



2012 წელს განხილული საჩივრებიდან ხარვეზი საერთო რაოდენობის 7%–ზე დადგინდა.



დავის საგნები

2012 წელს საბჭოს მიერ განხილულ საჩივრებში ჭარბობდა შემდეგი დავის საგნები:

1. საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება;
2. ინვენტარიზაციისას გამოვლენილი აღურიცხავი საქონლისა და დანაკლისის გამოვლენა;
3. საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევისა და მასში თანხის შემცირების გამოვლენა;
4. დღგ–ით დასაბეგრი ობიექტის განსაზღვრა; ოპერაციის განხორციელების მომენტისა და მოცულობის კორექტირება; დღგ–ის ჩათვლის მართლზომიერება;
5. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები;
6. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობის გამო გამოსაქვითი ხარჯის შემცირება;
7. ანგარიშვალდებულ პირზე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების დაბეგვრა;
8. შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განუხილველად დატოვება;
9. უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების გამოვლენის შედეგად განხორციელებული დარიცხვის მართლზომიერება
10. სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებისთვის ჯარიმის დაკისრება
11. საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით განსაზღვრა;